



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030440121720619

№ 04-1478/თ

16 / აგვისტო / 2019 წ.

**„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N684 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 9 იანვრის N04-16/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N684 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 9 იანვრის N04-16/თ ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის 1.6.1.–1.6.6.დანართებით განსაზღვრული კომპონენტებით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე განაწილების ან შესაბამისი ვაუჩერების გაცემის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან გოგოძე - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ვალერი გაბდელიანი – სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ლალი წამალაიძე - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დ) სერგო კალანდაძე – სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების ფინანსური ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;


ე) ზაზა ჯანაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს მესამე

კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.“

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელემტრონულად 

გიორგი ნონკოლაური